ქ. თბილისში, ვაკის რაიონის ტერიტორიაზე (ცენტრალურ ვაკეში) 20 საზოგადოებრივი სკვერის მოწყობისათვის,საუკეთესო არქიტექტურული კონცეფციის მქონე კონკურსანტის გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ სკვერის ან პარკის სრული საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი №1

ქ. თბილისი

28 მაისი 2013 წ

სხდომას ესწრებოდნენ:

ჰენრი დოლიძე - კომისიის თავმჯდომარე – ქ. თბილისის ვაკის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;

გიორგი ბეზარაშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი – გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი;

აკაკი კობალაძე - საკონკურსო კომისიის წევრი – გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი;

რამაზ ლომინაძე - საკონკურსო კომისიის წევრი – აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

ზურაბ ბარათაშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი - გამგეობის საფინანსო-ეკონომიკური განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

დღის წესრიგი:

ქ. თბილისში, ვაკის რაიონის ტერიტორიაზე (ცენტრალურ ვაკეში) 20 საზოგადოებრივი სკვერის მოწყობისათვის, საუკეთესო არქიტექტურული კონცეფციის მქონე კონკურსანტის გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ სკვერის ან პარკის სრული საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით, საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო პირობების დამტკიცება.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრის, საფინანსო –ეკონომიკური განყოფილების მთ. სპეციალისტის ნათელა ელიზბარაშვილის გამოსვლა, რომელმაც სხდომას დასამტკიცებლად წარმოუდგინა გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელის - საკონკურსო კომისიის წევრის – აკაკი კობალაძის მიერ მომზადებული:

ა) საკონკურსო განცხადების პროექტი და ბ) საკონკურსო დოკუმენტაცია.

საკონკურსო კომისიის წევრებმა მოიწონეს წარმოდგენილი პროექტი, კომისიის თავმჯდომარემ ასევე დადებითად შეაფასა საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტი.

კომისიამ დაადგინა:

1. დამტკიცდეს საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის (იხ. დანართი) წარმოდგენილი ვარიანტი;

2. საკონკურსო განცხადება და საკონკურსო დოკუმენტაცია გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული ფოსტის contest@prokurement.gov.ge-is მეშვეობით.

კომისიის თავმჯდომარე **ჰენრი დოლიძე**

კომისიის წევრი: **გიორგი ბეზარაშვილი**

კომისიის წევრი **აკაკი კობალაძე**

კომისიის წევრი **რამაზ ლომინაძე**

კომისიის წევრი **ზურაბ ბარათაშვილი**